საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-10/1559
12/02/2024

1559-15-10-2-202402121645

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება

მსჯავრდებულ [redacted] განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრებისთვის გაცდენილი ვადის აღდგენის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო ნინო,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის, [redacted] განცხადების საფუძველზე, შეისწავლა მისთვის, საქმის საკასაციო განხილვის ეტაპზე, სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის საკითხი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს [redacted] ოქტომბრის განაჩენით, [redacted] ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11[1],151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და დანაშაულთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის ინტერესების დაცვა ხორციელდებოდა არა შეთანხმების საფუძველზე, არამედ სავალდებულო დაცვის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ.

სახაზინო წესით დანიშნულ ადვოკატს სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით უნდა გაესაჩივრებინა მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში, თუმცა გაურკვევილი მიზეზით, მან აღნიშნული მოვალეობა არ შეასრულა. ამავდროულად, სახალხო დამცველის

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

აპარატის ინფორმაციით, ადვოკატმა პროფესიული მოვალეობის დარღვევის თაობაზე არ შეატყობინა ხელმძღვანელობას, ასევე მის დაცვის ქვეშ მყოფ პირს.

შედეგად, დაცვის მხარის მიერ გაშვებულ იქნა განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ვადა, რითაც არსებითად შეილახა მსჯავრდებულის უფლება, საკასაციო ეტაპზე ესარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით ნაგულისხმევი გარანტიებით.

როგორც სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილია,[1] 2024 წლის 06 თებერვალს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის [redacted] გაშვებული ვადის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად გააცნო მსჯავრდებულს და ამავე დღეს, საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარადგინა შუამდგომლობა, გაცდენილი ვადის აღდგენის თაობაზე.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, საქმის განმხილველ სასამართლოს ხსენებულ შუამდგომლობით განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი".

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.[2]

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის მხოლოდ იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

---

[1] ცნობილი გახდა სატელეფონო საუბრის შედეგად ადვოკატ [redacted]

[2] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 55, ნაწილი 1.

ფაქტობრივი გარემოებები

განაჩენის გამოცხადების მომენტში, მსჯავრდებულის ადვოკატი იყო სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის [redacted] მსჯავრდებულის საქმე 2023 წლის 8 ნოემბერს დაეწერა საზოგადოებრივ ადვოკატს, [redacted] რომელსაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით უნდა გაესაჩივრებინა მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში, თუმცა გაურკვეველი მიზეზით, მან აღნიშნული მოვალეობა არ შეასრულა.[4]

2023 წლის 25 იანვარს, შეხვედრისას, მსჯავრდებულმა სახალხო დამცველის რწმუნებულს დახმარება სთხოვა, რათა აპარატს გადაემოწმებინა, გაასაჩივრა თუ არა მისმა ადვოკატმა განაჩენი საკასაციო წესით.

სახალხო დამცველის აპარატმა ხსენებულ საკითხზე იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა **2024 წლის 30 იანვარს.**[5]

<u>სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის გადაწყვეტილებით, [redacted] დაიწყო დისციპლინური წარმოება.</u>[6]

ამასთან, იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ უზენაეს სასამართლოში ვადის აღდგენის შესახებ წარდგენილი შუამდგომლის თანახმად, მსჯავრდებული ადვოკატ [redacted] მონახულებული ჰყავს 2024 წლის 16 და 23 იანვარს (როცა საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან გასული იყო უკვე 1,5 თვე), თუმცა, არ არის დაზუსტებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის მონაცემები გააცნო ადვოკატმა მსჯავრდებულს და შეატყობინა მას თუ არა სიმართლე. როგორც აღინიშნა, 2024 წლის 25 იანვარს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს მსჯავრდებული აფიქსირებდა, რომ არ ფლობდა ინფორმაციას, გასაჩივრდა თუ არა მისი განაჩენი საკასაციო წესით და სწორედ ამ საკითხის გარკვევაში თხოვდა აპარატს დახმარებას.

სამართლებრივი დასაბუთება

როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განამტკიცებს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს.[7] ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებასთან ერთად სამართლიანი სასამართლოს უფლების შინაარსში შეიქმნა და ჩამოყალიბდა ისეთი უფლებები, რომლებიც პირდაპირ არ იკითხება, თუმცა არის ნაგულისხმევი, არაფორმულირებული უფლებები/პრინციპები.

---

[3] იურიდიული დახმარების სამსახურის 2024 წლის 06 თებერვლის LA 2 24 00003606 წერილი.
[4] იქვე.
[5] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 30 იანვრის N15-10/113 წერილი.
[6] იურიდიული დახმარების სამსახურის 2024 წლის 06 თებერვლის LA 2 24 00003606 წერილი.
[7] საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი. ევროპული კონვენციის 6.1 პუნქტი.

ამდენად, სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში აერთიანებს როგორც გაცხადებულ, ისე ნაგულისხმევ გარანტიებს.

ერთ-ერთი ასეთ ნაგულისხმევ გარანტიას წარმოადგენს სასამართლოსთან ხელმისაწვდომობის უფლება.

სასამართლოსთან ხელმისწავდომობა არ არის აბსოლუტური უფლება, ის ექვემდებარება წინასწარ გაწერილ შეზღუდვებს.[8] მიუხედავად ამისა, გამოყენებული შეზღუდვები არ უნდა ზღუდავდეს ინდივიდს ისე ან იმდენად, რომ დარღვეული იყოს თავად უფლების არსი.[9] შეზღუდვა დაარღვევს კონვენციას, თუ ის არ მისდევს ლეგიტიმურ მიზანს და თუ არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და მიზანს შორის.[10]

მიუხედავად იმისა, რომ ვადები, პრინციპში, ლეგიტიმური შეზღუდვებია სასამართლოს უფლების შესახებ, მათი გამოყენების ხერხმა კონკრეტულ საქმეში შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.[11]

ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებებში ხაზგასმით მიუთითებს, რომ ევროპული კონვენცია არ ცდილობს განამტკიცოს თეორიული, ილუზორული უფლებები, არამედ უფლებები, რომლებიც არის რეალური და ეფექტური, განხორციელებადი.[12]

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, მოწოდებულია, რომ განამტკიცოს ბრალდებულის სისხლის სამართლის პროცესში ეფექტიანი მონაწილეობა. აქ მოიაზრება არა მხოლოდ მისი ფიზიკური ყოფნა და დასწრება პროცესებზე, არამედ ისიც, რომ მას ესმოდეს მთლიანობაში პროცედურები და ჩაერთოს მასში.[13]

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (გ) პუნქტი განამტკიცებს პრაქტიკული და ეფექტიანი იურიდიული დახმარების უფლებას. მართალია, ხელშემკვრელი სახელმწიფო არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი იურიდიული დახმარების მიზნით დანიშნული ადვოკატის ან ბრალდებულის მიერ არჩეული ადვოკატის ყველა ნაკლზე, თუმცა პასუხისმგებლობა ჩარევისა შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც ადვოკატი უბრალოდ არ იმოქმედებს ბრალდებულის ნაცვლად,[14] ან როდესაც ის არ ასრულებს გადამწყვეტ პროცედურულ მოთხოვნას, რომელიც არ შეიძლება უბრალოდ გაიგივდეს დაცვის არაკეთილსინდისიერ ხაზთან ან უბრალო არგუმენტაციის ხარვეზთან.[15]

წინამდებარე საქმის ანალიზი

---

[8] Deweer v. Belgium, 1980, § 49; Kart v. Turkey [GC], 2009, § 67.
[9] Guérin v. France [GC], 1998, § 37; Omar v. France [GC], 1998, § 34.
[10] იქვე.
[11] *Miragall Escolano and Others v. Spain, 2000,* §36.
[12] Artico v. Italy, 1980, §33.
[13] Murtazaliyeva v. Russia [GC], 2018, § 91.
[14] Artico v. Italy, 1980 წ. , §§ 33, 36.
[15] Czekalla v. Portugal, 2002, §§ 65, 71.

როგორც უკვე განხილული იყო, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს. ერთ-ერთი მსგავსი ლეგიტიმური შეზღუდვა ვადებს უკავშირდება. თუმცა, **ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, გაშვებულ ვადასთან მიმართებით ხისტმა შეზღუდვამ, შესაძლოა, დაარღვიოს ევროპული კონვენციის მოთხოვნები, თუ არ იარსებებს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და მიზანს შორის.**

პროპორციულობის კონტექსტში მოცემულ შემთხვევაში რამდენიმე გარემოება იქნება გასათვალისწინებელი.

- მსჯავრდებულის შესაძლებლობები, ეფექტურად იყოს ჩართული პროცესებში

როგორც უკვე ითქვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოწოდებულია იმისკენ, რომ ბრალდებული აღჭურვოს რეალური უფლებებით, რეალური შესაძლებლობებით, რომ ესმოდეს და ეფექტურად მონაწილეობდეს მისი სისხლის სამართლის საქმის განხილვაში.

მსჯავრდებულის შემთხვევაში, როდესაც მის მიმართ უკვე დამდგარია გამამტყუნებელი განაჩენი და საკითხი შეეხება საქმის განხილვის საკასაციო ეტაპს, მისი შესაძლებლობები, ეფექტურად იყოს ჩართული პროცესებში, ლიმიტირებულია. ის იმყოფება დახურულ დაწესებულებაში, მას არ აქვს შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს და განუსაზღვრელი სიხშირით გამოიყენოს სატელეფონო კავშირი, დაამყაროს სოციალური კავშირები, მოიპოვოს და შეაგროვოს ინფორმაცია, გამოცხადდეს ამა თუ იმ დაწესებულებაში, მყისიერად გადაამოწმოს მის საქმეზე მიმდინარე პროცესები, გააკონტროლოს მისთვის გაწეული სამართლებრივი დახმარების სერვისის ხარისხი და სხვ.

ამდენად, პირი, თავისუფლებაში მყოფია და ისე განაგრძობს მისი უფლებების დაცვას სასამართლო ეტაპზე, თუ ის სახელმწიფოს ექსკლუზიური კონტროლის პირობებშია შეზღუდული სამართლებრივი შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი გარემოებაა შეფასებისთვის.

- იურიდიული დახმარების მნიშვნელობა ეფექტიანი დაცვის განხორციელების კონტექსტში

გარდა იმისა, რომ მსჯავრდებულს ყოველ ეტაპზე უნდა განემარტოს მისი უფლებები, რათა ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ჰქონდეს, ეფექტიანი დაცვისა და პროცესებში რეალური ჩართულობის გარანტად კვალიფიციური იურიდიული დახმარება დიდ როლს თამაშობს. სწორედ **ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად არის გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის შემთხვევები, როდესაც მიჩნეულია, რომ სხვადასხვა გონივრული გარემოების გათვალისწინებით, მსჯავრდებულის მიერ პრაქტიკული სახით უფლების დაცვა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი მას დაენიშნება ადვოკატი.**

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ [redacted] ინტერესების დაცვა ხორციელდებოდა სავალდებულო დაცვის ფარგლებში, სახელმწიფოს ხარჯზე.

- ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იურიდიული დახმარების მიზნით დანიშნული ადვოკატის აშკარა ნაკლზე

სისხლის სამართლის საქმეზე პროცესების მიმდინარეობისას, თუკი მოსამართლე შენიშნავს, რომ ბრალდებულს აშკარად არ/ვერ ეწევა კვალიფიციური იურიდიული დახმარება, ადვოკატი აშკარად არ/ვერ იცავს მის ინტერესებს, არ ცხადდება პროცესებზე და სხვა, შესაძლოა წარმოიშვას მოსამართლის პირდაპირი ვალდებულება, რომ ბრალდებულს დაუნიშნოს სავალდებულო წესით სახაზინო ადვოკატი.

განაჩენის გასაჩივრების ეტაპზე, მოსამართლეს, ბუნებრივია, არ აქვს დაკვირვების შესაძლებლობა და ცოდნა იმისა, არის თუ არა ადვოკატის ქმედება საკმარისად კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლიანი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ. თუმცა, აღნიშნული მისთვის შესაძლებელია ცნობილი გახდეს მხოლოდ მომხდარის შემდგომ, რა დროსაც, სასამართლოს მხრიდან უნდა გატარდეს იმგვარი ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებას.

[redacted] შემთხვევაში სწორედ ამგვარ მოცემულობასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან მისთვის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულმა ადვოკატმა, დაუდგენელი მიზეზით გაუშვა განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ვადა, ისე, რომ ამის შესახებ მას არ მიაწოდა ინფორმაცია. პირიქით, მსჯავრდებული სახალხო დამცველის აპარატისთვის მომართვის მომენტამდე იყო გაურკვევლობაში, ვინაიდან არ იყო დარწმუნებული, მის ადვოკატს ჰქონდა თუ არა გასაჩივრებული საკასაციო წესით მის წინააღმდეგ დამდგარი განაჩენი. მეტიც, აპარატის ინფორმაციით, დანიშნულმა ადვოკატმა აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია არ მიაწოდა ხელმძღვანელობას, რითაც გამორიცხა მყისიერი ჩარევისა და რეაგირების შესაძლებლობა, რათა დროულად მომხდარიყო მსჯავრდებულისთვის დარღვეული უფლების გამოსწორება და რეაგირება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის ბიუროსადმი მიმართვის შემდგომ.

დაცვის მხარის ერთიანობის მიუხედავად, მისი საწყისი და საფუძველი უკავშირდება ბრალდებულს, ამდენად, დაცვის მხარე მისი ინტერეზის ირგვლივ მოქმედებს. ადვოკატის მიერ გადამწყვეტი პროცედურული ქმედების შეუსრულებლობა ავტომატურად არ უნდა იწვევდეს [redacted] სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე უარის თქმას.

ის აშკარა ნაკლი, რომელიც ამ შემთხვევაში გამოვლინდა ეფექტიანი დაცვის უფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, საჭიროებს დაბალანსებას სასამართლოს მხრიდან.

- დანიშნული ადვოკატის საქმიანობის მიმართ პრეზუმირებული ნდობა

ამ შემთხვევაში, გამოსაყოფია ის გარემოება, რომ [redacted] ინტერესებს იცავდა, არა მის მიერ შერჩეული ადვოკატი, რომლის შემთხვევაშიც გაწეული მომსახურების ხარისხის რისკის ტარების ტვირთი უფრო მეტად სწორედ მსჯავრდებულს დააწვებოდა, არამედ, სახეზეა სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატი.

სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, ლიცენზირებული ადვოკატის მიერ განხორციელდეს ეფექტიანი დაცვა, ამდენად, სახელმწიფო წინასწარ აღიარებს და ნდობას უცხადებს სახაზინო ადვოკატების პროფესიონალიზმს, საქმიანობის ხარისხს.

იმ შემთხვევაშიც, როდესაც საგამოძიებო უწყება/მოსამართლე სისხლის სამართლის საქმეზე ჩასართავად მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს, ის ირჩევს არა კონკრეტულად რომელიმე ერთ ადვოკატს, არამედ ნებისმიერ იმ ადვოკატს, რომელიც დასაქმებულია იურიდიული დახმარების სამსახურში, ვინაიდან საგამოძიებო უწყებას/მოსამართლესაც აქვს წინასწარი ნდობა გამოცხადებული, რომ ამ სამსახურში დასაქმებული ადვოკატი შეძლებს ეფექტიანი დაცვის განხორციელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის იმის ლეგიტიმურ საფუძველს, რომ პრეზუმირებული ნდობა [redacted] მიერ მისთვის დანიშნული ადვოკატის მიმართ, რომ ის შეასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, მათ შორის, დადგენილ 1 თვიან ვადაში გაასაჩივრებდა განაჩენს საკასაციო წესით, ლოგიკური და დასაბუთებულია.

როგორც უკვე აღინიშნა, მსჯავრდებული, რომელიც მოთავსებულია დახურული ტიპის დაწესებულებაში, შეზღუდულია გარესამყაროსთან კომუნიკაციაში. მისი პასიურობა, თავად გაესაჩივრებინა განაჩენი ინფორმაციული ვაკუუმის თანმდევად შეიძლება ჩაითვალოს და იმ ნდობის საკითხის შედეგად, რომელიც დაცვის ქვეშ მყოფს აქვს სახელმწიფოს მიერ დანიშნული ადვოკატის მიმართ, რომ ის თავის აშკარა პროცედურულ მოვალეობას პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა და არ გამორჩებოდა გასაჩივრების ვადები.

სწორედ **პრეზუმირებული და ლეგიტიმური მოლოდინი დანიშნული ადვოკატის მიერ გაწეული სერვისის კვალიფიციურ და მაღალ ხარისხთან მიმართებით აძლევს დაცვის ქვეშ მყოფ პირს იმის განცდას, რომ მიენდოს ადვოკატს საპროცესო ვადების დაცვისას.**

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ლეგიტიმური მიზანი შეზღუდვისა - გაშვებული ვადა, მიმაჩნია რომ პროპორციულობის გონივრული კავშირი ყველა ზემოთქმული არგუმენტის გათვალისწინებით არ ვლინდება დასახულ მიზანთან, ვინაიდან მას გადასწონის შეზღუდული უფლების აღდგენის საჭიროება. ამ შემთხვევაში ზიანი, რომელიც შესაძლოა, მიადგეს მსჯავრდებულის უფლებებს, უფრო მეტია ვიდრე დასაცავი სიკეთე.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო ჯეროვნად იმსჯელებს ზემოხსენებულ გარემოებებზე, ვინაიდან ხსენებული საკითხის გადაწყვეტა უშუალო გავლენას ახდენს როგორც მსჯავრდებულის უფლებრივ მდგომარეობაზე, ისე სწორი სასამართლო პრაქტიკის განვითარებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,
ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.